

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი
ქართველოლოგიური
სამეცნიერო კონფერენცია



პროგრამა და თეზისები

28 ოქტომბერი
2019 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი
ქართველოლოგიური
სამეცნიერო კონფერენცია**

პროგრამა და თეზისები

28 ოქტომბერი

2019 წელი

საორგანიზაციო კომიტეტი:

ეკატერინე ნავროზაშვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

ქეთევან ჭკუასელი – ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

ნათელა მუზაშვილი – თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

ელდარ ბუბულაშვილი – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

ადა ნემსაძე – თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

მერი ნიკოლაიშვილი – თსუ ემერიტუსი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

მარინე ტურაშვილი – თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

ზაქარია ქიტიაშვილი – ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

თეა ქამუშაძე – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, კომიტეტის მდივანი.

რეგლამენტი: მოხსენებისთვის 15 წუთი, დისკუსიისთვის 5 წუთი.

კონფერენციის პროგრამა

10.00 – 10:30

რეგისტრაცია

თსუ პირველი კორპუსი, 115-ე აუდიტორია

10.30 – 11.30

კონფერენციის გახსნა

თსუ პირველი კორპუსი, 115-ე აუდიტორია

მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი

გიორგი შარვაშიძე

თსუ რექტორი

ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ქეთევან ჭკუასელი

პროფესორი, თსუ განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის უფროსი

პლენარული მომხსენებელი

ზურაბ ჭუმბურიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

ემერიტუს პროფესორი

„ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები“

11:30 – 12.00

შესვენება

I სექცია

12.00-14.30

(თსუ პირველი კორპუსი, 115-ე აუდიტორია)

**სხდომის თავმჯდომარე – ემერიტუს პროფესორი
თამაზ კარანაძე**

ელდარ ბუბულაშვილი

იაკობ გოგებაშვილის როლი ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვაში

სალომე ომიაძე

იაკობ გოგებაშვილის „ქერის თავგადასავალი“ და ლექსემა „ქერის“ პრაგმატიკული ველი

თამაზ კარანაძე

იაკობ გოგებაშვილი და რელიგია

ივანე მინდაძე, სოფიო ბახუტაშვილი, თეონა მიმინოშვილი,

თამარ ლიპარტელიანი

დანყებით კლასებში წერა-კითხვის სწავლების გოგებაშვილისეული მეთოდის პირველადი შეფასება

ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და სახელმძღვანელო „დედა ენის“ კვალზე

თეა ქამუშაძე

აღზრდის ტრადიციული და თანამედროვე ფორმები: გამოწვევები და შესაძლებლობები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე)

14.30-15.00

შესვენება

II სექცია

15.00-17.30

(თსუ პირველი კორპუსი, 115-ე აუდიტორია)

სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი ინგა სანიკიძე

თამარ შარაბიძე

ნიკო ნიკოლაძის ერთი კრიტიკული წერილის – „ჩვენი მწერლობა“ – მნიშვნელობის შესახებ

ნოდარ დარსანია, ჯუღუტა ძაძუა

მეტყველების თავისებურებანი აფხაზეთის ქართულენოვან მოსახლეობაში (ოჩამჩირის სოფლების მაგალითზე)

მარიამ გოდუაძე

სმენა-მხედველობის არმქონე („უსინათლოყრუ“) ადამიანებთან საკომუნიკაციო ქართული ლორმის ანბანი და მისი გამოყენების თავისებურებანი

ინგა სანიკიძე

ერთი სინონიმური წყვილის ისტორიული ფუნქციისათვის ქართულში („ბატონი“ და „უფალი“)

ხვთისო მამისიმედიშვილი

საოჯახო და საზოგადოებრივი ეტიკეტი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა საგმირო ეპოსებში

ბარნაველი მაია

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პრობლემები

III სექცია

15.00-17.30

(თსუ პირველი კორპუსი, 202-ე აუდიტორია)

**სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის დოქტორი
ნინო პოპიაშვილი**

ნინო პოპიაშვილი

პროზელიტიზმის სწავლებისათვის ქართულ ჰაგიოგრაფიაში

ივანე მჭედელაძე

თეორიული და მეთოდოლოგიური მოდელების ტიპოლოგია
თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით
უკრაინისტიკაში

ნანა ანთიძე

ინტეგრაციული სწავლება იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების
მიხედვით

ეთერ ჭურაძე

ერთი ამერიკული რომანის იდეოლოგიური მნიშვნელობისათვის

ნათია ფიფია

იმიტირებული სასამართლო, როგორც სტრატეგია, საქართველოს
ისტორიის სწავლების პროცესში

ხათუნა ბასილაშვილი

იმაჟიზმის სანყისებთან

ნანა ანთიქე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლა

ინტეგრაციული სწავლება იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მიხედვით

ცნობილია, რომ პედაგოგიკის მეცნიერების უმთავრესი ფუნქციაა პიროვნების ფორმირების პროცესის ძირითადი კანონზომიერებების დადგენა. თავად პიროვნების ფორმირების პროცესს კი, აღზრდა ეწოდება. აღზრდის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება იმ უნარების განითარებას, რომელიც ადამიანს, როგორც ინდივიდს, თანდაყოლილი სახით ეძლევა. სწორედ ამ უნარების განვითარება ხდება სწავლებისა და განათლების გზით. ასეთ ვითარებაში ნათელია, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწავლებისა და განათლების სწორად ორგანიზებას და დაგეგმვას, კერძოდ, პასუხის გაცემას კითხვებზე – რა ვასწავლოთ? და როგორ ვასწავლოთ?-ვინაიდან სწორედ ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული პიროვნებაში სასურველი უნარების განვითარება.

ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის დედა ენა, მისი აგების პრინციპი და სასწავლო მასალა, რომელიც სწორედ ინტეგრაციის, სინთეზის მეთოდზე და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ქმნიდა ბავშვებისთვის მულტიმეტატურ, მულტიჟანრობრივ ლიტერატურას ბავშვის განვითარების დონისა და აზროვნების შესაბამისად, აზიარებდა სამყაროს მთელი თავისი მრალფეროვნებით. ეს ბუნებრივად შემოტანილი მულტიმეტატურობა და კომპლექსურობა კი იყო საფუძველი მოზარდში მრავალმხრივი უნარების განვითარებასა, რაც სწორედაც რომ აღზრდის უძირითადესი მიზანია.

მოხსენებაში გაავანალიზებთ იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებიდან იმ საკითხებს, რომლებიც თავისი ბუნებით ინტეგრაციული ხასიათისაა. სწავლების თანამედროვე მეთოდებთან კავშირში განვიხილავთ ენის სწავლებისა და ბუნებისმცოდნეობის თემატიკას და შემოგთავაზებთ პრაქტიკული მნიშვნელობის რამდენიმე შემთხვევას.

ხათუნა ბასილაშვილი

კავკასიის უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრი

იმაჟიზმის საწყისებთან

იმაჟიზმი საფუძვლების ძიებას პოეზიის საწყისებისკენ მივყავართ. სხვა ლიტერატურული მიმდინარეობის მსგავსად, ისიც პოეზიის წარსულის გამოძახილია და სულ მცირე ორი ქრონოლოგიური წყარო აქვს: თანამედროვე და ანტიკური. იმაჟიზმის იდეალების ჩამოყალიბებაში წვლილი შეიტანა ბერძნულმა, ლათინურმა, ებრაულმა, ჩინურმა და იაპონურმა ლიტერატურამ და მისმა თანამედროვე ფრანგულმა პოეზიამ. თუმცა, ინდივიდუალური იმაჟისტი პოეტები განსხვავებული წყაროს გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყოველ მათგანზე რაღაც კონკრეტული ზემოქმედება და წყაროთა უნიკალური კომბინაციის ინდივიდუალური პროდუქტი იყო.

„იმაჟების სკოლა“, რომელსაც „პრე-იმაჟისტურ“ ფაზასაც უწოდებენ, 1909 წელს ინგლისელი პოეტისა და ფილოსოფოსის ტომას ერნესტ ჰიუმის ხელმძღვანელობით დაარსდა. თავად ჰიუმის მოსაზრებებზე კი გავლენა იქონია მე-19 საუკუნის ფილოსოფოსის, ჰენრი ბერგსონის იდეებმა.

ჰიუმისთვის „იმაჟი“ ის მეყსეული ინფორმაცია იყო, რომელიც გრძნობით აღიქმება; ეს არის ის, რისი ენისა და ფიქრის გზით ინტელექტუალურ ცოდნად ქცევა შეუძლებელია. იგი თვლიდა, რომ ლექსში „იმაჟი“ ანალოგიით უნდა შეიქმნას, რის შესახებაც ამბობდა: „ნურასდროს, ნურასდროს გააკეთებთ მარტივ განაცხადს. ეს ზემოქმედებას არ ახდენს. აუცილებელია ანალოგია, რადგან ანალოგია სულ სხვა სამყაროს ქმნის.

ჰიუმი თავისივე თეორიის პრაქტიკაში განხორციელებას ყოველთვის ვერ ახერხებდა. ჰიუმი სულ ოცდახუთი ლექსის ავტორია, რომელთაგანაც ყველაზე ხშირად პოეზიის ანთოლოგიებში შეაქვთ „შემოდგომა“ (Autumn) და „მზის ჩასვლა ერთ ქალაქში“ (A City Sunset). ჰიუმის პოეზიამ საფუძველი ჩაუყარა ახალი მეტრით დაწერილ ლექსს.

ედუარდ სტორერიც იმაჟიზმის ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი და თეორეტიკოსი იყო, რომელიც დესკრიპტიული იმაჟის მომხრედ გამოდიოდა და თვლიდა, რომ იმაჟი ანალოგიას არ უნდა ეფუძნებოდეს. სტორერისთვის იდეალური იმაჟი ერთგვარი „ჩადგმული ფრაზა“ – ტროპი – იყო.

დესკრიპტიულ იმაჟს ქადაგებდა იმაჟიზმის უკანსკნელი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსიც, ფ. ს. ფლინტიც, რომელმაც „ურითმო

კადენციის“ თეორია შექმნა, რაც ვერ ლიბრის ინგლისურ ანალოგად უნდა მივიჩნიოთ. სიტყვა „კადენციით“ იგი ვერ ლიბრს ემიჯნებოდა და მეტრული უზუსტობის მიღწევას ცდილობდა. ფლინტის თეორიული მოსაზრებები გაცილებით მნიშვნელოვანია ვიდრე მის მიერ ექსპერიმენტირების გზით შექმნილი იმაჟები.

მაია ბარნაველი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პრობლემები

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით განვიხილავ რამდენიმე კლასის სახელმძღვანელოს (ავტორები: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი: VIII, XI, XII კლასები) როგორც ფილოლოგი და პედაგოგი. შემოვიფარგლები მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით. თავდაპირველად აღვნიშნავ, რისი შეფასებაც ჯერჯერობით არ მომხდარა და რაც, ჩვენი აზრით, პრობლემურია: ეს არის ლიტერატურის „გადააზრება“, წარდგენილი სახელმძღვანელოებში, როგორც „ახლებური ხედვა“ რაც, სშირად, სხვა არაფერია, თუ არა სათქმელის უკუღმა გააზრება.

ჩემს მოხსენებაში ვაპირებ ასევე განვიხილო როგორი მეტა-მორფოზა განიცადა ბალადა „ვეფხისა და მოყმისას“ გააზრებამ 1987-2012 წლებში, რაც ძალიან საინტერესოა თვითონ განათლების პოლიტიკის სულისკვეთების საჩვენებლად. რაც ადრე ჩვენ მიერ განხილული VIII სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ავტორს – ვახტანგ როდონაიას – ამალღებული ეროვნული და გმირული სულისკვეთების გამღვიძებელ ნაწარმოებად მიუჩნევია 1987 წელს (იხ. ამის შესახებ მისი სტატია „შვილო, ზურაბ, სადამდი..“ გაზეთში „ლიტერატურულ საქართველო“, 27 მარტი, გვ.12), როგორ ნელ-ნელა შეიცვალა და გახდა „ბალადა ადამიანურ თანაგრძნობაზე“ (გვ. 41-44, „ქართული ენა და ლიტერატურა, „სწავლანი“ 2012) .

ფრაგმენტულობა – როგორც ნაწარმოებების ტექსტების, ასევე მწერალთა ბიოგრაფიულ-ეპოქალური მონაცემების, გრამატიკის საკითხების უსისტემობა, რაც უთავბოლოდაა გაბნეული სახელმძღვანელოებში, შესასწავლი მასალის სისტემატიზებას და ათვისებას უშლის ხელს. გრამატიკის სისტემური სახით სწავლების

აუცილებლობაზე სპეციალისტების მიერ არაერთხელ გამოითქვა აზრი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ეშველა ამ საქმეს. ასევე ხშირად დაწერილა და თქმულა, როგორც პრეტენზია სახელმძღვანელოს მიმართ, რომ აუცილებელია მწერალთა ბიოგრაფიების და ეპოქის გააზრება...

ხშირად სკოლის სახელმძღვანელოების ავტორ-შემდგენელთა მიერ ისეთი მოსაზრებებია გამოთქმული, რაც, ალბათ, სიმართლეს შეიცავს, მაგრამ მთავარი სათქმელი ტექსტში სულ სხვაა, რის შესახებაც სრული დუმილია – ან თავად ავტორები ვერ აღიქვამენ მთავარ სათქმელს ან უგულვებლყოფენ მთავარს და გახაზავენ მეორეხარისხოვანს. ამით აზროვნების უნარი ვერ განვითარდება და თან, სახელმძღვანელომ სწორედაც მთავარი სათქმელის გახსნამდე უნდა მიიყვანოს მოსწავლე.

მოსაწესრიგებელი და სისტემაშია მოსაყვანი ასევე ლიტერატურის თეორიის მასალები – ასევე გაბნეული სხვადასხვა კლასის წიგნებში.

ელდარ ბუბულაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

იაკობ გოგებაშვილის როლი ავტოკეფალიადაკარგული საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვაში

ი. გოგებაშვილის მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსეთის ხელისუფლების მიერ XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ შექმნილ მძიმე ვითარების მხილებას, რომლის მიზანი იყო რუსული ანტისაეკლესიო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში. იგი კარგად ერკვეოდა რუსეთის კოლონიურ ანტისაეკლესიო პოლიტიკაში. ყოველივე მან თავის თავზე იწვინა. ერთხანს იგი პედაგოგად მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. პატრიოტული საქმიანობისა და მოწინავე პედაგოგიური აზროვნების გამო იგი ხელისუფლების მიერ იდევნებოდა, რის გამოც მან თავი დაანება პედაგოგიურ საქმიანობას და მთელი თავისი მოღვაწეობა რუსულ შოვინისტურ პოლიტიკის მხილებას მიუძღვნა. იგი მკაცრად ამხელდა სასულიერო სასწავლებლებში არსებულ ანტიქართულ სა-

განმანათლებლო სისტემას. ამ საკითხს მან რამდენიმე პოლემიკური წერილი მიუძღვნა, რომელშიც მხილებული იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი და დეკანოზი ი. ვოსტორგოვი. მანვე მკაცრად გაილაშქრა რუსული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო რუსული ალფაბეტის საფუძველზე მეგრულად და სვანურად ლოცვების თარგმნა და მათ საფუძველზე წირვა-ლოცვის ჩატარება. იგი კარგად ჩანდა რუსულ მზაკვრულ პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო მეგრელებისა და სვანების არაქართველებად გამოცხადება და მათი ჩამოშორება ქართული ეთნოსისაგან.

ი. გოგებაშვილი აქტიურად იყო ჩართული XX ს-ის დასაწყისში მიმდინარე ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობაში და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამ მოძრაობაში აქტიურად ჩართულ ქართველ სასულიერო პირებთან.

მარიამ გოდუაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის მეორე საჯარო სკოლა

სმენა-მხედველობის არმქონე („უსინათლოყრუ“) ადამიანებთან საკომუნიკაციო ქართული ლორმის ანბანი და მისი გამოყენების თავისებურებანი

GeoLorm-ი – ლორმის ანბანის ქართული ვერსიაა, სპეციალური ტაქტილური კოდი, ერთდროულად სმენა-მხედველობის არმქონე ადამიანებისთვის შექმნილი, სწრაფად და ეფექტურად საურთიერთოდ. ანბანი იმთავითვე ორიენტირებულია შეგარძნებებზე, ანბანს ყველა სწრაფად სწავლობს და ეფექტურად ინერგება. ლორმის ანბანის დახმარებით სმენა-მხედველობადაქვეითებული პირები ყველასთან თარჯიმნის დაუხმარებლად ურთიერთობენ.

ლორმის ქართული ანბანის ყოველ ასოს ადამიანის ხელის გულზე ან მის გარეთაც შეესაბამება საკუთარი წერტილი ან ხაზი.

ანბანი გამდიდრებულია სიგნალებით, რომლებიც განსაზღვრულ სიტუაციებში გამოიყენება, როგორც კოდური საშუალება. მაგალითად, „ახლა არ საუბრობ“ – ეს თხოვნა გამოიყენება ხელისგულის დადებით ზურგზე, ასევე წერილობითი ან ჟესტური აბრევიატურები, რომლებიც გამოიყენება ხშირად განმეორებულ სიტყვებსა და გარემოებებზე. ამ მეთოდის ელემენტებში ასევე შედის შეტყობინებები:

დადასტურება: მუჭის რამდენჯერმე სწარფად შეკვრა;
აკრძალვა: ხელისგულზე რამდენჯერმე ხელის გასმა;

სიტყვის დასრულება: გაშლილი ხელით შეხება და სხვა.


ლორმის ანბანს ბევრი დადებითი თვისება გააჩნია. ესენია: ენის სიმარტივე, შეცდომების დაშვების მცირე რისკი; ინფორმაციის გადაცემის სწრაფი ტემპი; ურთიერთობებზე ხელმისაწვდომობა; მოსახერხებელია თარჯიმნებისთვისაც.

მიიჩნევენ, რომ ლორმის ანბანი კარგია ყველასთვის, ვისაც შეუძლია საკუთარი აზრების გამოხატვა ბრაილით, დაქტილოგრაფიით, რომელიც, ასევე ხელის გულზე ხელზე შეხებით იკითხება, თუმცა სიმბოლოები, რომლებიც თითების გამოისახება, რამდენადმე რთული აღსაქმელია და მეტ დროსაც ითხოვს. გეოლორმის გამოყენება კი შეუძლია ყველას, ვისაც იგი მუდამ არ სჭირდება. ადამიანები, რომლებსაც არ ესმით, დღისით კითხულობენ ტუჩების მოძრაობის მიხედვით, ხოლო დაბნელებისთანავე, მხედველობის ვიწრო დიაპაზონის გათვალისწინებით, არ ჰყოფნიან დისტანცია და განათება ტუჩების დასანახად. ლორმის მეთოდი უნდა იცოდნენ მათაც, ვინც სარგებლობს სასმენი აპარატით, ასევე, ტუჩებიდან ნაკითხვის ტექნიკის მქონეთაც. ამ ანბანთან დაკავშირებული შეტყობინებები ცალსახაა, ლაპარაკი შესაძლებელია სასეირნოდ, ხალხში, ცეკვაში, მატარებელში, გვერდით მჯდომთან, როდესაც ორივე ხელი დაკავებულია, ამავე დროს შენახულია საიდუმლო, არ იქცევენ სხვა ადამიანების ყურადღებას.



დამინახე!
Just see me!

სურათზე დაქტილითა და ლორმით ჩვენ მიერ შესრულებული წარწერებია მოცემული.



ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და სახელმძღვანელო „დედა ენის“ კვალზე

სახელმძღვანელო – „დედა ენის“ კვალზე – ეყრდნობა იაკობ გოგებაშვილისეულ „დედა ენას“, მისი შედგენის მეთოდს, რომელიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის აღი-

არებული (გგულისხმობთ საბოლოო, 1912 წლის, გამოცემას, შესაბამისად, გოგებაშვილის მიერ გამოყენებულ ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს). ამ განახლებულ, შევსებულ სახელმძღვანელოში **არსებითად შენარჩუნებულია როგორც წერა-კითხვის სწავლების მეთოდი, ისე გოგებაშვილისეული საკვანძო მასალა, უნიკალური მიგნებანი, თუმცა შეტანილია რიგი ცვლილებები და შემატებულია თანამედროვე სტანდარტით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი მასალა.**

ცვლილებები სხვადასხვა სახისაა:

1. **ვიზუალური** (სტილის დაცვით, შეცვლილია ნახატები, რათა თანამედროვე ბავშვის ცნობიერებასა და გემოვნებას მეტად მიესადაგოს; საკითხავი მასალა გაშლილია გვერდის უფრო დიდ ფორმატზე; ასევე, მონესრიგებულია სტრიქონების თანამიმდევრობა: შინაარსით განსხვავებული ლექსიკური ერთეულები და ფრაზები, შეძლებისდაგვარად, ახალ-ახალი ხაზიდან მიეწოდება მოსწავლეს).

2. **შინაარსობრივი** ცვლილებები: ა) ცვლილება განპირობებულია დღეს პატარებისათვის ნაკლებად ნაცნობი ლექსიკური ერთეულებით; **ცხადია, ყოველი ცვლილება სათანადო მასალით ჩანაცვლებას მოითხოვდა.** შესაბამისად, ჩვენ მიერ შემატებულია ფუნქციით მსგავსი, ბავშვებისთვის უფრო ნაცნობი ლექსიკური ერთეულები (მაგალითად, იყო ფუჩეჩი, არის ფაჩუჩი), რათა უშუალოდ კითხვის სწავლების პროცესი არ დააბრკოლოს უცნობ სიტყვებზე დაფიქრება-განმარტებამ (სიტყვა ფუჩეჩი კი გადატანილია ამავე წიგნის დამატებით საკითხავში, ამ შემთხვევაში კი კითხვაში უკვე განაფული მოსწავლე ლექსიკას მართლაც გაიმდიდრებს);

3. **სპეციფიკური** ცვლილებები; განზრახ ამოღებულია ფრაზები:

ა) აი ოსი, ოთხი ოსი, ათი ოსი; ბ) უთითო, უსახო; უსახო სოსო, უთითო სესე და სხვანი.

4. **ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით განპირობებული** ცვლილებები: ამოკლებულია ამ ასაკის ბავშვისათვის რთული ანდაზები: ა) მამიდას ვნახავ, კვიცსაც ვაფხედნი; ბ) მნიფეს ესროდნენ, მკუხე ცვივოდა, და სხვანი (შეგახსენებთ, რომ იმ დროს, როცა იაკობ გოგებაშვილმა ეს სახელმძღვანელო შექმნა, 8-9 წლისანი იწყებდნენ სწავლას).

5. **ორთოგრაფიული** (თანამედროვე სალიტერატურო ნორმებით განპირობებული ცვლილებები): ა) სძოვს, ჩასდე, ბ) მამას მახე მიე, და სხვანი.

6. **სტრუქტურული** (წინ დაერთო წინასაანბანო პერიოდისთვის განკუთვნილი სამუშაო, ზეპირმეტყველებისთვის და წერისათვის მოსამზადებლად).

გარდა ამისა:

- პატარების გასახალისებლად შევმატეთ **რეზუსები**;
- ცოდნის განსამტკიცებლად, თითოეული ასოსთვის შევადგინეთ **დამატებითი საკითხავი საანბანე ნაწილისთვის**; განსაკუთრებით საჭიროდ მივიჩნიეთ პანანინა მოთხრობების შემატება, რათა სიუჟეტმა ნაკითხვის ინტერესი გააძლიეროს. ცხადია, შენარჩუნებული და რედაქტირებულია გოგებაშვილისეული „კაჭკაჭი და კრუხი“ და, მსგავსად, დამატებულია: „სანდრო და ლეკვი“, „კუს ოინი“, „ნანას სიმღერა“, „მეგობრობა“, „კლასი“.
- ანბანის შემდეგ საკითხავ ნაწილში **მასალა დაჯგუფებულია თემების მიხედვით, გოგებაშვილისეულ შესანიშნავ მოთხრობებს დამატებულია სხვა ტექსტებიც, შედგენილია ლექსიკური სავარჯიშოები, დასმულია შეკითხვები ნაკითხულის გასააზრებლად**.
- სახელმძღვანელოს ცალკე კომპონენტებად შეემატა: **მოსწავლის რვეული, წერის დედანი** (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით) და **მასწავლებლის წიგნი**.

სწორედ წარმოდგენილმა მიდგომამ და ცვლილებებმა განაპირობა სახელმძღვანელოს სტატუსი – გრიფის მინიჭების კონკურსზე ექსპერტებმა დაადასტურეს მისი შესაბამისობა „დედა ენასთან“, გოგებაშვილის მეთოდთან და მიიჩნიეს, რომ მას შეესაბამება – შედგენილი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით. სამინისტროს ექსპერტთა მიერ გაზიარებული იქნა სახელმძღვანელოს სახელწოდებაც – **„დედა ენის“ კვალზე**.

ნოდარ დარსანია, ჯუღეტა ძაძუა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეტყველების თავისებურებანი აფხაზეთის ქართულენოვან მოსახლეობაში (ორჩამჩირის სოფლების მაგალითზე)

ქართული ენა აფხაზეთში თანდათან კარგავს თავისთავადობას. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მისი საფრთხის დონე სერიოზულია. იგი დღეს ინტენსიურად ერთვება აფხაზურ – რუსულზე. ეს უკანასკნელი რეგიონში პოლიტიკურად და სოციალურად დაწინაურებული ენაა. დაახლოებით ორი–სამი ათეული წლის შემდეგ, თუ ასე გაგრძელდა,

ამ ძირძველ ქართულ მინა-წყალზე ქართულად აღარავინ ილაპარაკებდა. დღეს ოჩამჩირის მთელ რიგ სოფლებში აფხაზურ-ქართული ორენოვნების სახით საქმე გვაქვს სოციალურად შეპირობებულ ბილინგვიზმთან: ქართული არის გავლენის ობიექტი, აფხაზური კი (და არა რუსული) – წყარო. შესაბამისად, საკონტაქტო ენა გახდა აფხაზური.

მოქვის, ქლოუს, კვიტოულის, ზემო და ქვემო აკვასკის, ჯაღის, ბესლახუბის, ნოუდღენის, გუფის, აჯამფაზარას, აგუბედიისა და სხვა სოფლების ქართულენოვან მოსახლეობაში აფხაზური, ფლობისა და აქტივობის თვალსაზრისით, გასამიჯნი ხდება ჭეშმარიტი დედაენისაგან, ხოლო სოციალური ფუნქციის მოცულობის მხრივ, დიდი უპირატესობით სარგებლობს. ეს გარემოება ფაქტობრივად ავიწროებს ქართულს და ქმნის ამ ენის მატარებელთა მეტყველების თავისებურებას, რაც გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენს ორენოვანი მოსახლეობის ეროვნულ ცნობიერებასა და თვითაღქმაზეც.

დასტურდება ქართველურ-აფხაზურ სამეტყველო კოდთა შერევის ორი სახეობა: 1) ქართველური დომინირებით, როდესაც ძირითადია ქართველური მეტყველება და ერთგება აფხაზური ლექსიკური ერთეულები ან ფრაზები; 2) აფხაზური დომინირებით, როცა შესაბამისად, ძირითადია აფხაზური მეტყველება და ერთგება ქართველური ლექსიკური ერთეულები/ფრაზები. როგორც წესი, სამეტყველო კოდთა შერევა ქართველური დომინირებით უფრო ასაკოვანი პირებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო უმცროსი თაობის მეტყველებაში კი უმეტესად დასტურდება სამეტყველო კოდთა შერევა აფხაზური დომინირებით.

„სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ენობრივ კოდთა შერევის ორ უმთავრეს ტიპს: კოდ-მიქსინგსა და კოდ-სვიჩინგს); პირველი ტიპი გულისხმობს დიაქრონიულ პროცესს – A და B ენობრივ კოდთა შერევის საფუძველზე C ენობრივი კოდის მიღებას, მეორე ტიპი კი გულისხმობს სინქრონიულ პროცესს – A და B ენობრივ კოდთა კონტაქტურ თანაარსებობას თანასწორ (როდესაც ორივე ენობრივი კოდი თანაბარუფლებიანია) ან უთანასწორო (როდესაც ერთ-ერთი ენობრივი კოდი მეორეზე პრესტიჟულია) პირობებში”(მ. ლაბაძე). დასახელებულ სოფლებში ქართულ და აფხაზურ ენობრივ კოდთა შერევის ორივე ტიპი გვხვდება.

თამაზ კარანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტი

იაკობ გოგებაშვილი და რელიგია

დიდი მამულიშვილი ი. გოგებაშვილი სამშობლოს მომავალს ხე-დავს სარწმუნოებისა და განათლების მჭიდრო კავშირსა და ერთიანობაში. განათლებასმოკლებული სარწმუნოება „ხშირად იქცევა ფანატიკოსობად“, შენიშნავს იგი. ამიტომ უჭირავს მის პედაგოგიურ მოძღვრებაში რელიგიური აღზრდის პრობლემებს განსაკუთრებული ადგილი. სარწმუნოება და ენა მიაჩნდა ეროვნულობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის უპირველეს საშუალებად. „ქართველმა ერმა და მხოლოდ მან მცირე აზიაში, თავი გაიტანა და სამი უმთავრესი საუნჯე მტკიცედ დაიცვა. დაიცვა სამშობლო ტერიტორია, დაიცვა ენა, განვითარებულ და კულტურული ენების სიმალღემდის აყვანილი და დაიცვა ქრისტეს აღსარება“ – წერს იგი.

ი. გოგებაშვილი ხედავდა როგორ ცდილობდა რუსეთის იმპერია ქართული ეკლესია ექცია რუსული ეკლესიის დანამატად და დაუღალავად იბრძოდა ჩვენი ეკლესიის სრული ავტონომიისათვის. სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის როლის ამაღლებისა და მღვდელთმსახურების ეროვნული ინტერესების შესაბამისად აღზრდისათვის. „სარწმუნოება გულის სფერაა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედა ენა“, შენიშნავს იგი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ეკლესიის და სკოლის, ცოდნისა და ზნეობის ურთიერთკავშირის გოგებაშვილისეული ხედვა. „ეკლესია და სკოლა სათავეა ხალხის ზნეობისა, ტკივილისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ერის სიმტკიცისა, წარმატებისა“, მიუთითებს იგი.

ხვთისო მამისიმედიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

საოჯახო და საზოგადოებრივი ეტიკეტი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა საგმრო ეპოსებში

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა საგმრო ეპოსებში აისახა როგორც კავკასიის მთის ხალხების წეს-ჩვეულებები და საოჯახო ყოფა, ისე მათი ტრადიციული ეტიკეტი. მდიდარი და მრავალფეროვანია ეპიკური თქმულებების თემატიკა, მათში ასახული ტრადიციული გარემო, ცალკეულ ჯგუფებს შორის არსებული კონფლიქტებით, საზოგადოებრივი და საოჯახო ურთიერთობებით. არაერთი თქმულება მოგვითხრობს დადებული პირობისა და მიცემული სიტყვის შესრულებაზე, რომელიც მთის ხალხებში განსაკუთრებით ფასობდა.

თქმულებებში დასტურდება კავკასიის მთის ხალხებში მოქმედი მეომრული კოდექსის დაცვის არაერთი ეპიზოდი. ორთაბრძოლის დროს მეომრები პირველი სროლის, ხმლის მოქნევისა და დარტყმის უფლებას მას უთმობდენ, ვისაც ორთაბრძოლაში იწვევდენ.

ჩეჩნური, ინგუშური და ხევსურული თქმულებების მიხედვით, თუ ვაჟიშვილი სალაშქროდ ან სამგზავროდ წასვლას დააპირებდა, ვალდებული იყო ნებართვა და კურთხევა მამისგან მიეღო. სალაშქროდაც ის მამას უნდა აღეჭურვა. მგზავრებსა და მეომრებს სოფელში ცხენზე ამხედრებული გავლა ეკრძალებოდათ.

თქმულებებში ადამიანებს შორის სასტიკი და დაუნდობელი ურთიერთობების ასახვას ჰქონდა თავისი რეალური ისტორიული და ეკონომიური საფუძველი. კავკასიის მაღალმთიანი რეგიონების მწიერი ნიადაგი მინათმოქმედების განვითარების არანაირ საშუალებას არ იძლეოდა. უსახსრობა და მატერიალური გაჭირვება მამაკაცებს აიძულებდათ შეექმნათ გასამხედროებული რაზმები და სარჩოს საშოვნელად ებრძოლათ.

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების გაცნობისას თვალშისაცემი ხდება საზოგადოების უკიდურესი სიღარიბე. ადგილობრივი გმირებიც და ნართ-ორსთხოველებიც, არც თუ იშვიათად, მიუვალ ადგილებსა და გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. ჩრდილოეთის სტეპებიდან მთის ხეობებში მომთაბარეთა შემოჭრის მუდმივი საფრთხე ადგილობრივ მოსახლეობას არ აძლევდა სრა-სასახლეების აგებისა და მატერიალური სიმდიდრის დაგროვების საშუალებას. შეიძლება

ამ მიზეზით, ეპოსი უაღრესად უარყოფით კონტექსტში და ერთგვარი სიძულვილით წარმოგვიდგენს სტეპებში მცხოვრებ ნოლელ თავადებს, როცა მათ გვერდით ჩერქეზი და ქართველი დიდებულები თქმულებებში დადებით თვისებებს ამჟღავნებენ და მეგობრობენ კიდევ ადგილობრივ გმირებთან. მტრობის, შიმშილობის, სისასტიკისა და სიღარიბის საპირისპიროდ, კავკასიის ხალხთა თქმულებებში გვხვდება მოგონება ე. წ. „ოქროს ხანაზე“. ოქროს ხანა და სამოთხისებური ყოფა ქართულ მითოსში თამარ მეფის მმართველობას უკავშირდება. მისი ვარიანტები ფართოდ არის გავრცელებული ოსურ ზეპირსიტყვიერებაში. ჩეჩნური და ინგუშური გადმოცემები მოგვითხრობენ სამოთხისებურ წარსულზე, როცა ერთი მუჭა ფქვილითა და ერთი ნაჭერი ხორცით შვიდი თუ სამოცდასამი მეომრის დანაყრება შეიძლებოდა.

ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ხალხები ისტორიულად მარცვლეული პროდუქტების დიდ დეფიციტს განიცდიდნენ, რომელმაც ასახვა ჰპოვა ხალხურ ეპოსებშიც. ჩეჩნურ და ინგუშურ ნართულ თქმულებებში გვხვდება ცნობები დიდი შიმშილობების შესახებ, როცა ნართებს მარცვლეული არ ყოფნიდათ და მათ, ზეპირი ტექსტების მიხედვით, ხან ჯადოსნური ლოდი კვებავდათ და ხანაც – საიქიოდან გამოტანილი წისქვილი, რომელიც მარცვლეულის გარეშე ფქვავდა და ნართებს პურით ამარაგებდა. მაგრამ როცა ნართ-ორსთხოელები გაბუდაყდნენ, ლოდმა მათი გამოკვება შეწყვიტა, ხოლო წისქვილმა – ფქვილით მომარაგება. ნართებმა შიმშილით დახოცვას, თვითმკვლელობა არჩიეს. ისინი ერთ დიდ გამოქვაბულში შეიკრიბნენ, საერთო თასიდან გამდნარი სპილენძი დალიეს და აღესრულნენ. თქმულების მიხედვით, არავინ უწყის ეს გამოქვაბული სად მდებარეობს, მაგრამ ხალხს სჯერა, რომ მოვა დრო, როცა ნართები აღდგებიან, გამოვლენ გამოქვაბულიდან და ხალხს მტრისა და უბედურებისგან დაიცავენ.

ივანე მინდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია

სოფიო ბახუტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია

თეონა მიმინოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია

თამარ ლიპარტელიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია

დანყებით კლასებში წერა-კითხვის სწავლების გოგებაშვილისეული მეთოდის პირველადი შეფასება

წერა-კითხვის ათვისება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც მრავალი განსხვავებული კომპონენტი (კოგნიტური, ოპტიკური, მოტორული) მონაწილეობს. ამიტომ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მეთოდების შესწავლასა და შეფასებას, რომელთა დახმარებით ხდება წერა-კითხვის ესოდენ რთულ და კომპლექსური უნარის ფორმირება.

საქართველოს სკოლებში წერა-კითხვის სწავლება რამდენიმე ალტერნატიულ მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოთი მიმდინარეობს. ჩვენი მოხსენება შეეხება წერა-კითხვის სწავლების გოგებაშვილისეული მეთოდის ეფექტიანობის შესაფასებელ კვლევას. აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ მოხსენებაში წარმოდგენილი მონაცემები არის ლონგიტიდური კვლევის მხოლოდ პირველი ეტაპის რაოდენობრივი შედეგები, რომლებიც ეფუძნება 4 სკოლაში 111 მოსწავლის მიღწევების შეფასებას. თავად კვლევა აფასებს მოსწავლის

მიღწევებს ხანგრძლივ პერსპექტივაში და ის დასრულდება 2022 წელს. ლონგიტიდური კვლევის დასრულებამდე შედეგებზე მსჯელობისკენ გვიბიძგა, ერთი მხრივ, კვლევის უკვე სანყის ეტაპზე მიღებულმა თვალსაჩინო შედეგებმა და, მეორე მხრივ, თემის აქტუალობამ.

ვინაიდან ჩვენი კვლევის ფარგლებში წერა კითხვის ათვისება გააზრებულია, როგორც საბაზო აკადემიური უნარების ფორმირების პროცესი, სწავლების მეთოდის ეფექტიანობის ინდიკატორად საბაზო აკადემიური უნარების განვითარებაში მიღწეული პროგრესი მივიჩნით. მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა აკადემიური უნარების ტესტის – WRAT4-ის მოდიფიცირებული ვარიანტი – MWRATR. WRAT4 ნორმაზე დაფუძნებული ტესტია, რომელიც ზომავს ძირითად აკადემიურ უნარებს – კითხვას, წინადადების გაგებას, წერასა და მათემატიკურ გამოთვლებს. 2011 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტებმა შექმნეს ტესტის ქართული მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელსაც აკადემიური უნარების ტესტი MWRATR დაერქვა (M-მოდიფიცირებულის აღსანიშნავად, R კი წაკითხულის გააზრების ახალი ქვეტესტის აღსანიშნავად – Reading Comprehension). 2012 და 2015 წლებში მოხდა MWRATR-ის ტესტის სტანდარტიზაცია.

კვლევის პირველი ეტაპი (ფაზა) გულისხმობდა მონაცემების შეგროვებას ე. წ. კვლევის „ათვლის წერტილის“ განსაზღვრის მიზნით, რათა გვცოდნოდა, რა მიღწევები ჰქონდათ მოსწავლეებს კვლევის დასაწყისისთვის და როგორ შეიცვლებოდა ეს მიღწევები დროთა განმავლობაში სწავლების მეთოდის გავლენით. კვლევის მეორე ეტაპი იმავე ინსტრუმენტის პარალელური ფორმის გამოყენებით ჩატარდა 6 თვის შემდეგ. მონაცემთა შეგროვების შემდეგ სპეციალური სტატისტიკური პროცედურით (გლასის დელტა კოეფიციენტის (Glass's Δ) გამოყენებით) შეფასდა მოსწავლეთა პროგრესი და განისაზღვრა გამოყენებული მეთოდის ე. წ. ეფექტის ზომა.

პროგრესის ეფექტის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ სკოლების მოსწავლეების პროგრესის მაჩვენებელი, რომლებიც ქართულ ენას სწავლობენ გოგებაშვილის მეთოდით, თითქმის ორჯერ აღემატება სხვა სკოლების მოსწავლეების პროგრესის მაჩვენებელს. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის შეიძლება ითქვას, რომ გოგებაშვილის სწავლების მეთოდიკას აქვს მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტი მოსწავლეთა შორის წერა-კითხვის უნარის განვითარებაზე. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა დასრულებული არაა, და საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ მიღებული არაა.

ივანე მჭედელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
უკრაინისტიკის ცენტრი

თეორიული და მეთოდოლოგიური მოდელების ტიპოლოგია თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით უკრაინისტიკაში

ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სლავისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვექტორია უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული პროცესების შესახებ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა. ისტორიული და კულტურული პროცესების ცვლილებებმა განაპირობა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ-კულტურული და სამეცნიერო პროცესების ადაპტირება ქართულ გამოცდილებასთან.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით უკრაინისტიკაში ბოლო პერიოდის ნაშრომებზე დაკვირვება აჩვენებს: თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში ერთი მხრივ შეჯამებულია დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, მეორე მხრივ იკვეთება ახალი თეორიული მიდგომების დანრეგვისა და მისადაგების ცდა საკვლევ მასალასთან. აქედან გამომდინარე, მოხსენებაში საგანგებო ყურადღებას დაუთმობ უკრაინული ლიტერატურის კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომების კლასიფიკაციასა და თეორიულ ანალიზს ტიპოლოგიური კვლევის საფუძველზე. კვლევის მიზანია წარმოვაჩინო რამდენად პასუხობს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურა წამყვანი სლავისტური კვლევების ტენდენციებს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული ბაზა, რომელიც სრულიად პასუხობს თანამედროვე ინტეგრალურ პროცესებს და გამოირჩევა მეთოდოლოგიური პლურალიზმით. შესაძლებელია გამოითქვას მოსაზრება, რომ ქართველი უკრაინისტების ნაშრომები წარმოადგენს ინტერდისციპლინურ კომპარატივისტულ კვლევებს და შესაძლებელია აქტუალური პრობლემების კლასიფიკაცია:

სოციეტოლოგიური და პოსტკოლონიური პრობლემათიკის მისადაგება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ-კულტურული პროცესების ანალიზისას;

კულტურული იდენტობის, ნაციონალიზმის, მენსიერების კვლევის ტენდენციები საბჭოთა პერიოდის უკრაინულ ლიტერატურულ

დისკურსში, რაც აახლოებს ლიტერატურათმცოდნეობასა და კულტურის კვლევებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანთროპოლოგიური კვლევების დანერგვა – ბინარული ოპოზიციის „საკუთარისა“/„უცხოს“ გაგებისა და აღქმის თვალსაზრისით. ამდენად მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევაში წამყვან მიდგომად წარმოჩნდება იმაგოლოგია.

და ბოლოს, აქტუალურია უკრაინული ლიტერატურის ქართული თარგმანების კვლევის ტენდენციები სხვადასხვა თვალსაზრისით. ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია კულტურული ტრანსფერის, ენაში ასახული ეროვნული კულტურული კოდების ტრანსლაციისა და რეციპიენტის მშობლიური ენის კოდირების სისტემაში მათი ფუნქციონირების საკითხებზე. ტექსტის აზრობრივი მრავალფეროვნების გადმოცემის ხარისხი და პრობლემატიკა ტრანსლატოლოგიის მნიშვნელოვან ამოცანად რჩება.

კვლევა გვიჩვენებს, რომ ამგვარი მიდგომებით თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი უკრაინისტიკა თანამედროვე თეორიულ-მეთოდოლოგიური პროცესების დანერგვით აფართოებს საკუთარი კვლევის არეალს და პასუხობს სლავისტური კვლევების აქტუალურ პრობლემებს.

სალომე ოშიაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

იაკობ გოგებაშვილის „ქერის თავგადასავალი“ და ლექსემა „ქერის“ პრაგმატიკული ველი

„ქერის თავგადასავალი“ ერთ-ერთი გამორჩეული თხზულებაა იაკობ გოგებაშვილის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარულ ტექსტებს შორის. ქერის მარცვალთა პერსონიფიკაციით აგებული ხატოვან-დინამიკური თხრობა არა მხოლოდ მოზარდ, არამედ ნებისმიერი ასაკის მკითხველს ქერის თავგადასავლის თანამონაწილედ ხდის. ამ თავგადასავლის ზღაპრულობის მიღმა ნაწარმოები შეიცავს შემეცნებითი ხასიათის ობიექტურ ცნობებს ქერის მარცვლის აგებულების, ხვნა-თესვის, ზრდა-ყვავილობისა და მკის, მისი დაბინავება-შენახვის შესახებ. ნაწარმოებში ზედმიწევნით არის აღწერილი ქერის მოხმარება – მარცვლის ფქვა წისქვილში და ქერის პურის ცხობა; ქერისაგან ლუდის ხარშვა და არყის გამოხდა;

ქერის შინაური ფრინველებისა და ცხენების გამოსაკვებად გამოყენება თუ სხვ.

„ამდენი თავგადასავლის შემდეგ ქერი მოექცა ადამიანების მუცელში. მაგრამ გლებმა მალე დაანება ქერის უგემურ და ფაშარ ჯინჯილას თავი; მას ჩქარა გაუხმა მინდორში ხორბალი და მისი გემრიელი პურის ხმარება იწყო“, – ვკითხულობთ თხზულების ბოლო ნაწილში. მოხმობილი ინფორმაცია უხვად არის ილუსტრირებული ქართულ ხალხურსა და საავტორო მხატვრულ ტექსტებში: „ვინ დასდევს ბებრის ქორწილში / კუტსა და ქერის ლავაშსა“ // „ბებრის ქორწილში ქერის ლავაშს ვინ დაინუნებსო“ (ხალხ.); „თუკი გშია, ზაქარია, ქერის პურიც შაქარია“ (ერთ-ერთი ვარიანტი გავრცელებული ანდაზისა „როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია“); „მე ქერის პური მალოღნეს, / სხვანი დალალდნენ დიკითა“ (მ. ჩიტიშვილი, „ჯერ თუ არ გამომაღვიძე“); „ჩვენა ვართ ბედშავნი, რომ, რაც გინდა ვქნათ, ვერ მოვშორდებით აქაურს მშრალა ქარჯინას“ (ალ. ყაზბეგი, „მამის მკვლელი“) და მისთ.

მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ იმ ლექსებებსა და ხატოვან ერთეულებს, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის „ქერის თავგადასავალში“ დადასტურებული ყოველი ცნობის ენობრივ ობიექტივაციას ახდენენ და „ქერის“ პრაგმატიკულ ველს ქმნიან ქართულ დისკურსში.

ნინო პოპიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

პროზელიტიზმის სწავლებისათვის ქართულ ჰაგიოგრაფიაში

პროზელიტიზმი თანამედროვე მნიშვნელობით სარწმუნოების შეცვლას ნიშნავს. პროზელიტი, ცნება, მომდინარეობს ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანიდან. აღნიშნული სიტყვა ბიბლიაში მიემართება ადამიანს, რომელიც არ არის წარმოშობით იუდეველი, ანუ ებრაელი, მაგრამ ცხოვრობს იუდეველთა შორის. პროზელიტად იხსენიება ბიბლიის მთარგმნელი ბერძნულ ენაზე აკვილა პონტოელი (II ს.ახ.წ.), რომელიც ქრისტიანობიდან იუდეველობაზე იყო მოქცეული. პროზელიტები იყვნენ პირველი ქრისტიანები, მათ შორის, ქართველი პირველქრისტიანები, რომლებმაც, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქადაგების შემდეგ, უარყვეს თავიანთი სარწმუნოება და ქრისტიანობა აღიარეს. ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე აღინიშნება

აქტიური პროზელიტიზმი და მასიური ხასიათი აქვს. როგორც წესი, ახლადმონათლული ქრისტიანი მონათვლისთანავე იღებს სრულფასოვანი ქრისტიანის სტატუსს.

პროზელიტიზმი აღწერილია ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა უცნობი ავტორის „კოლაელ ყრმათა მარტვილობა“, რომელიც, მეცნიერთა აზრით, მე-4 ან მე-5 საუკუნის ძეგლია, ასევე, უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, რომელიც, სავარაუდოდ, მე-6 საუკუნეში დაინერა და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“, რომელიც მე-8 საუკუნის ნაწარმოებია.

კომპარატივისტული კვლევებისა და ტენდენციების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჰაგიოგრაფია, როგორც ლიტერატურული ჟანრი, გარკვეული მოდელებისა და შაბლონებისაგან შედგება. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია პროზელიტი პერსონაჟების ასახვის მოდელის კვლევა. მოხსენებაში ვისაუბრებთ პროზელიტიზმის მოდელისა და მისი სწავლების შესახებ ქართულ ჰაგიოგრაფიაში.

ინგა სანიკიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

ერთი სინონიმური წყვილის ისტორიული ფუნქციისათვის ქართულში („ბატონი“ და „უფალი“)

უძველეს ღვთაებათა შესწავლის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომ საკმაოდ ინფორმაციული ხასიათისაა ქართულ ენაში დიდი ხნის დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები ბატონი და უფალი, რომლებიც ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ სინონიმურ ცალკეადაა გააზრებული და რომელთა მნიშვნელობები არც ძველ და არც ახალ ქართულში არსებით სხვაობას არ იძლევა, თუმცა, ჩვენი აზრით, მათი წარმომავლობა მაინცადამაინც ერთგვაროვანი არ უნდა იყოს. უპირველესად უნდა ითქვას ის, რომ საკუთარი ფორმითაც (ვგულისხმობთ ლექსიკურ ფორმას) და სემანტიკური შიგთავსითაც ორივე მათგანი მამაკაცის გაგებას უკავშირდება და არა – ქალისას, რაც, თავის მხრივ, „ქალღვთაებების“ უკან გადანევისა და კაცის დანინაურების ეპოქებს უნდა დავუკავშიროთ. გამომდინარე ნათქვამიდან, „ბატონისა“ და „უფლის“, როგორც ლექსიკური ერთეულების, ქრონოსს წარმართულ წარმოდგენებთან გადაყვავართ.

დასაშვებად მიგვაჩნია, უძველეს ქართულ სინამდვილეში სემური ენების გავლენით „ბალ“ ფუძის (**ბაალ**ბილონი – ბაალთა კარიბჭე; ან: **ბელ**ზებელი ← „ბაალ ზებულ“ – „ჭექა-ქუხილისა და „საბრძოლო ერთობის“, „ლაშქრობის მფარველი“ კულტი) გავრცელება, რომელიც ყათ//გათ//გატის გვერდით თანაარსებობდა. უპირველესად ასეთ ლექსიკურ ერთეულად *ბათ → ბატ → ბატ-ონ-ი // *პატ → პატ[რ]-ონ-ი გვესახება, რომელთა ფუძეებში უცილობლად იკითხება -ონ უძველესი ჭანური მანარმოებელი (-ონ აფიქსის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს არნ.ჩიქოზავა). საქმე ის არის, რომ ქართულ ფოლკლორულ მასალასა და ვაჟა-ფშაველას ენაშიც ჭანურმორფემიანი ლექსიკური ვარიანტი ხშირად სწორედ ღვთაებათა აღსანიშნავად გამოიყენება. პოემაში „ბახტრიონი“ [„ეგებ ინებოს ბატონმა...“; ან: „სდგანან... თავის ბატონის კარზედა“] ის წმ. გიორგის მიემართება; ხოლო „ალჟდა ქეთელაურში“ [„უნდა აცნობონ ბატონსა“] — გუდანს.

საწყის ეტაპზე ღვთაების სახელად „ბატონის“ გამოყენება შესაძლებელია არც დაუშვავთ. ის მთვარის კერპის სახელი უნდა ყოფილიყო, სქესით — მამრი და, სავარაუდოდ, გვიან უნდა შეეძინა მიწიერი კაცი „მეპატრონის, მფლობელის, გამგებელ-წარმართველის ან სოციალურად დანიშნურებული პირის“ შინაარსი. რაც შეეხება წინაპოზიციური **ბ** თანხმოვნის დაყრუების, ანუ **პ**ში გადასვლის პროცესს, ის სამხრეთ-დასავლეთ (ისტორიულ ჭანურ) არეალში იმ დროს უნდა მომხდარიყო, როცა უძველესი ქართველური ტომები („თუბალ-მოსოხები“, ხალიბები და სხვანი) დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებს იკავებდნენ [ჰეროდოტე].

საგანგებო ყურადღების ღირსია ლექსიკური ერთეული „უფალი“, რომლის ძირეულ შინაარსს „ფლობის“ სემანტიკასთან მივყავართ და რომელსაც უფროობითი ხარისხის მარკერად სასხვისო ქცევის **უ-** მიუძღვის. დასახელებული სიტყვაერთეული, ჩვენი აზრით, ასევე პირდაპირ უკავშირდება, ერთი მხრივ, „ფ[ა]ლ ძირეული ფუძიდან მიღებულ ზმნურ ფორმებს („[შთა]-ჰ-ფლა“ // [და]-ფლ-ა...) და, მეორე მხრივ, სახელურ წარმოებებს („სა-ფლაგი“, „სა-საფლ-ა[ვ]-ო). იმას, რომ „უფალი“ საკუთარ სამემკვიდრეო მამულში (ტერიტორიაზე) იფლვება, ისტორიული მოცემულობა და არქეოლოგიური მასალათაც დასტურდება.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ საანალიზოდ გამოტანილი სინონიმური წყვილი — „ბატონი“ და „უფალი“ სხვადასხვა წარმომავლობის ფუძეებია. ამათგან, პირველი სემური ფუძე მოჩანს, ხოლო მეორე [„უფალი“] — ქართული. ორივე მათგანი საზოგადო სახელია და საგანგებოდ ფარავს კონკრეტული ღვთაებების სახელებს, რომელთა წარმოთქმა ან ტაბუირებული იყო, ან ღვთაების კრძალვა-რიდისა და ღვთისმომშობის გამო ძალზე იშვიათად ხდებოდა.

ნათია ფიფია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

იმიტირებული სასამართლო, როგორც სტრატეგია, საქართველოს ისტორიის სწავლების პროცესში

იმიტირებული სასამართლო სწავლების სტრატეგიად იურიდიულ დარგში უკვე დიდი ხანია, რაც გამოიყენება. ჰუმანიტარული დარგის საგნების სწავლებისას მას შედარებით იშვიათად მიმართავენ. იურიდიული სფეროსგან განსხვავებით ჰუმანიტარულ დარგებში მის გამოყენებას თავისი სპეციფიკა გააჩნია და ეს სპეციფიკა აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს. ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს რამდენიმე უნარის განვითარებას ერთბაშად, კერძოდ: ა) კვლევის უნარი, რადგან მოტივირებული სტუდენტები ცდილობენ საკუთარი მხარისთვის საჭირო არგუმენტაცია მაქსიმალურად მოიძიონ და კარგად წარსდგენენ პაექრობისას, ბ) არგუმენტაციის უნარს, გ) დებატების, პაექრობის უნარს, დ) შემოქმედებით უნარს, ე) აზრის გამოსატყვის უნარს, ვ) კრიტიკული აზროვნების უნარს, ზ) პრობლემის გადაჭრის უნარს.

სწავლების პროცესში იმიტირებული სასამართლოს სტრატეგიად გამოყენებისას იგი აუცილებლად კარგად უნა დაიგეგმოს: სტუდენტებმა რამდენიმე კვირით ადრე უნდა იცოდნენ სასამართლოს თემატიკა, გადანაწილებული უნდა იყვნენ ჯგუფებში, კერძოდ, ა) ბრალდების მხარე, ბ) დაცვის მხარე, გ) სავარაუდო მოსამართლე(ებ)ი, დ) ნაფიც მსაჯულთა სავარაუდო სია. მხარეებს უნდა ჰქონდეთ ინსტრუქცია, რომ შეუძლიათ სავარაუდო „მონმეების“ სია წარმოადგინონ. ამ შემთხვევაში სწავლების მეორე სტრატეგია ჩაერთვება პროცესში – როლური თამაში.

საქართველოს ისტორიის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია თემატიკის სწორად განსაზღვრა, მაგ. ეს შეიძლება იყოს გიორგი სააკაძის ან ლიპარიტ ბაღვაშის იმიტირებული სასამართლო პროცესი. იმ შემთხვევაში თუ ვინმეს წინააღმდეგ ისტორიულად ნამდვილად შედგა სასამართლო პროცესი, ამ მეთოდის გამოყენებით რეალურად მეორე მეთოდსაც გამოვიყენებთ: ისტორიის რეკონსტრუქცია.

ჩვენი მოხსენების მიზანს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის სწავლების პროცესში ამ მეთოდის გამოყენების თავისებურებების წარმოჩენა, ასევე ამ მხრივ უკვე არსებული გამოცდილების გაზიარება და რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, დაკვირვების მეთოდით სწავლების ამ სტრატეგიის შეფასება – რამდენად ეფექტურად ავითარებს იგი სხვადასხვა უნარებს.

თეა ქამუშაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

აღზრდის ტრადიციული და თანამედროვე ფორმები: გამოწვევები და შესაძლებლობები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე)

აღზრდის სისტემა და სოციალიზაციის პროცესის თავისებურება ნებისმიერი საზოგადოებისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანია. აღზრდასთან დაკავშირებული შეკითხვები საზოგადოებისთვის ფუნდამენტურ ღირებულებებს ეხება და მის მნიშვნელობას გამოხატავს. როდესაც საუბარია აღზრდის სისტემაზე, აუცილებლად იგულისხმება ტრადიციული და თანამედროვე გაგების ურთიერთმმართველობა (თაობათა წიდილი). აღზრდის ნებისმიერი სისტემა მოიცავს ტრადიციის განგრძობითობას და ამავდროულად ასახავს თანამედროვე გამოწვევებს. ბავშვის აღზრდისა და სოციალიზაციისას ყველაზე მწვავედ ვლინდება აზრთა სხვადასხვა და არჩევანის სირთულე იმასთან დაკავშირებით, თუ რა ღირებულებებსა და მაგალითებს სთავაზობს საზოგადოება მის მომავალ წევრებს.

მოხსენებაში საუბარი იქნება ქართულ საზოგადოებაში არსებული აღზრდის სისტემის გამოწვევებზე, რომელიც საბჭოთა მემკვირეობის მნიშვნელოვან ნაწილად შეიძლება განვიხილოთ. აღზრდის მეთოდები და ფორმები ისევე განიცდის ტრანსფორმაციას, როგორც ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი სისტემა. შესაბამისად არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ტრადიციულის გაგებასთან დაკავშირებით. ჩვენი საზოგადოების წევრების ნაწილისთვის, ტრადიციული აღზრდის სისტემა, მათი მეხსიერების გათვალისწინებით, საბჭოთა სისტემაში ჩამოყალიბდა, ნაწილისათვის კი ტრადიციული უფრო ძველი გამოცდილებაა, რომლის მოძიებაც მხოლოდ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში არის შესაძლებელი.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი აღზრდის ტრადიციული ფორმების ანალიზი და მათი მიმართება თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვის პრობლემურ დიდაქტიკურ საკითხებთან.

თამარ შარაბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნიკო ნიკოლაძის ერთი კრიტიკული წერილის – „ჩვენი მწერლობა“ – მნიშვნელობის შესახებ

ნიკო ნიკოლაძის წერილი „ჩვენი მწერლობა“ დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“, 1872 წლის X-XI ნიგნებში, წერილი შესულია „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის ქრესტომათიაში“ შემოკლებული სახით (თბ., 1956 წ.). პირველი ნაწილი ეხება ქართველი ქალეზის მიერ გამოცემულ კრებულს – „თარგმანნი საამო საკითხავთა თზზულებათა“ (1872 წ.), ხოლო მეორე ნაწილი _ ამავე წლის „მნათობის“ მე-8 და მე-9 ნომრებში გამოქვეყნებულ მასალას. ნიკოლაძის ნაშრომი მნიშვნელოვანია მრავალმხრივ: 1) კრიტიკოსი სვამს კითხვას, რა უნდა იყოს თარგმანის მიზანი? პასუხობს თავად: „მკითხველი საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა“. სწორედ ამ კრიტერიუმით აფასებს იგი ქართველ ქალთა მიერ შესრულებულ თარგმანებს და მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოადგენენ ცნობილი მწერლების ნაწარმოებების გადმოლებას, არ თვლის საჭიროდ მათ მიწოდებას ქართველი საზოგადოებისათვის; უარყოფს და აკრიტიკებს ქართველი ქალეზის ტენდენციას, რომ არ გადმოთარგმნონ ნაწარმოებები სიყვარულზე. კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, ამ საგანზე ისეთი ნაწარმოებებიც შეიძლება მოიძებნოს, „რომელთაც ნამდვილი და დაუვინყარი სარგებლობა მოუტანიათ მკითხველების და მთელი კაცობრიობისათვისა...“ ნიკო ნიკოლაძე პირდაპირ მიუთითებს მათ, რომ ამგვარი თზზულებების თარგმნა სათაკილო და ქალთა სქესის სისუსტის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ სასარგებლო მთელი კაცობრიობისათვის და ამავე დროს _ ქალთა უფლებების წარმომჩენი.

ამავე კრიტერიუმებით აფასებს ნიკოლაძე ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილ ნათარგმნ მასალას, ხოლო ორიგინალური თზზულებებიდან უპირატესობას ანიჭებს ისეთს, რომელშიაც არ იქნება ყველა კომედიისთვის ტიპური სახეები: გაქსუებული ვაჭარი, „რუსეთუმე“ აფიცერი ან ჩინოვნიკი, იმერელი მსახური ბიჭი და „მოარშიყე გოგო“, ისეთს, რომელიც გამოხატული იქნება სხვა, ნამდვილი მხარე ჩვენი საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრებისა. ნიკო ნიკოლაძე იწუნებს „მნათობის“ კრიტიკულ მიმოხილვებსაც, რადგან მათში პიროვნული შური უფრო იგრძნობა (განსაკუთრებით „საქართველოს მოამბისა“

და ზოგადად ილია ჭავჭავაძის მიმართ), ვიდრე ქართული ლიტერატურის სამსახური.

საინტერესოა, რომ „ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიის ქრესტომათიაში“ დაბეჭდილი ნიკო ნიკოლაძის სტატია შემოკლებულია. შემოკლების პრინციპი ძირითადად ემყარება ნათარგმნი თუ ორიგინალური მხატვრული ლიტერატურიდან, ასევე კრიტიკული წერილებიდან მოყვანილი ტექსტების ამოღებას, რაზედაც ვეთანხმებით შემდგენლებს; თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ წერილიდან ამოღებულია ისეთი კრიტიკული შეფასება თანამედროვე ცხოვრებისა, რომელიც 1956 წელს (კრებულის გამოცემის თარიღი) მიუღებელი იქნებოდა საბჭოთა ცენზურისათვის, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდის კრიტიკის ქრესტომათია გადასახედა და შესავსებია დღევანდელი დღის გადასახედიდან.

ეთერ ჭურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ერთი ამერიკული რომანის იდეოლოგიური მნიშვნელობისათვის

მეთვრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდში ამერიკაში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიან ქალები და ქმნიან სენტიმენტალურ ლიტერატურას ქალების შესახებ. რომანები ქალთა ავტორობით, რომლებიც არ გამოირჩევა მაღალი ესთეტიკური ღირებულებით, შეიძლება აღვიქვათ, როგორც ისტორიული წყაროები, რომლებიც ფასდაუდებელ ინფორმაციას გვანვდის მეთვრამეტე საუკუნის დამლევს შეერთებულ შტატებში ქალთა ცხოვრებაზე.

ჰანა უებსტერ ფოსტერის რომანი „კეკლუცი, ანუ ელიზა უორტონის ისტორია“ (The Coquette; or, The History of Eliza Wharton) „დაცემული“, საზოგადოებრივი სტანდარტების მსხვერპლი ქალის შესახებ მოგვითხრობს. ეს ნაწარმოები არის ერთგვარი სახელმძღვანელო, მორალური ტრაქტატი, რომლის მიხედვითაც, ქალებს რეველუციის შემდგომ ქვეყანაში უნდა ეცხოვრათ. დიდაქტიკური ფუნქციის გარდა, რომელიც მკითხველს აფრთხილებს საზოგადოებრივი მორალის შესახებ და უმწეო ქალის მიმართ თანაგრძნობის გამოწვევას ცდილობს, უებსტერ ფოსტერს სხვა მნიშვნელოვანი მისიაც აკისრია: რეალობისა და სოციალური კონტექსტის შეფასება. მიუხედავად იმი-

სა, რომ ქალებმა ამერიკის რევოლუციის შემდეგ გაიმყარეს საკუთარი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მწერალი უფრო მეტს ითხოვს ახალი ქვეყნისაგან და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სოციალურ და პოლიტიკურ ნორმებსა თუ ღირებულებებს. ეს კი გამოძახილია იმ მსოფლმხედველობისა, რომელიც ანგლოამერიკულ სივრცეში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ფეხს იკიდებს და ვლინდება აბიგაილ ადამსის, ჯუდიტ სარჯენტ მარეისა და მერი უოლსტონკრაფტის შეხედულებებში სქესთა თანასწორობის, ქალთა სამოქალაქო და საკუთრების უფლებების, ქალის განათლების აუცილებლობის შესახებ.

დაიბეჭდა თსუ-ის გამომცემლობის სტამბაში

